



5 თებერვალი, 2015 წელი

### მოწვევა ტრენინგებში მონაწილეობის მისაღებად

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი იწვევს საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს საჯარო პოლიტიკის ფორმირებასა და სახელმწიფო სახსრების მართვის მონიტორინგის მექანიზმების თაობაზე დაგეგმილი ტრენინგების სერიაში მონაწილეობის მისაღებად. ტრენინგები ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „თანამშრომლობა ბიუჯეტის გამჭვირვალობისთვის“ ფარგლებში გაიმართება, რომელსაც ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი ახორციელებს. ტრენინგები ჩატარდება პოლიტიკისა და მართვის კონსალტინგ ჯგუფთან თანამშრომლობით.

ჯამში დაგეგმილია სამი ტრენინგის ჩატარება. პირველი ერთდღიანი ტრენინგი საჯარო პოლიტიკის ფორმირების საკითხებს, ხოლო შემდეგი ორი ორდღიანი ტრენინგი სახელმწიფო სახსრების მართვის მონიტორინგის მექანიზმების განხილვას მიეძღვნება (ტრენინგებზე განსახილველი საკითხების გასაცნობად იხილეთ დანართი #1). თეორიული საკითხების სიღრმისეულ განხილვასთან ერთად, რაც ასევე საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარებას ითვალისწინებს, ტრენინგების დროს დაგეგმილია პრაქტიკულ სავარჯიშოებზე მუშაობა. ტრენინგების გავლის შედეგად მიღებული ცოდნა და გაზრდილი შესაძლებლობები სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს, უფრო ეფექტიანად განახორციელონ როგორც მონიტორინგი, ისე ადვოკატირება სახელმწიფო სახსრების მართვის სფეროში.

ამასთან ერთად, ტრენინგები დაეხმარება მონაწილე ორგანიზაციებს, მოამზადონ საპროექტო განაცხადები საგრანტო კონკურსისათვის, რომელსაც ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი გამოაცხადებს 2015 წლის აპრილში. შეგახსენებთ, რომ საგრანტო კონკურსის ფარგლებში გათვალისწინებულია ოთხი საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის 15,000 ევრომდე ოდენობის გრანტის გაცემა სახელმწიფო სახსრების მართვის მონიტორინგის კუთხით სხვადასხვა ღონისძიების განსახორციელებლად.

ტრენინგებში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შეავსონ თანდართული სააპლიკაციო ფორმა (იხილეთ დანართი #2) და არაუგვიანეს 2015 წლის 19 თებერვლის 15:00 სთ-ისა გამოაგზავნონ ელექტრონული ფორმით შემდეგ



მისამართზე: [mshildelashvili@epfound.ge](mailto:mshildelashvili@epfound.ge). გთხოვთ, სათაურის ველში მიუთითოთ სახელი: PFM Training.

შერჩეულ აპლიკანტებს ფონდის თანამშრომლები დაუკავშირდებიან არაუგვიანეს 2015 წლის 23 თებერვლისა. პირველი ტრენინგი გაიმართება თბილისში, 27 თებერვალს. საქართველოს რეგიონებიდან შერჩეულ მონაწილეთა მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯებს (1 ღამე) დაფარავს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი.

შემდგომი ტრენინგები გაიმართება 12-13 მარტს და 26-27 მარტს. აღნიშნული ტრენინგების ჩატარების ადგილს და სხვა ადმინისტრაციულ დეტალებს დამატებით გაცნობებთ.

### **საკონტაქტო ინფორმაცია**

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მისამართი: კავსადის ქ. 3, მე-2 სართული. ტელ/ფაქსი: (+995 32) 225 39 42/43. საკონტაქტო პირი: ვიქტორ ბარამია, პროგრამის უფროსი მენეჯერი – [vbaramia@epfound.ge](mailto:vbaramia@epfound.ge).